საიდ. №64098/03
IR1088618

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 121-03/12

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ქემაშვილი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 199-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად ზეპირი მოსმენის გაუმართავად განიხილა კომპანიის „ნოვარტის აგ"-ს („Novartis AG") (შვეიცარია) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის **„ALCON" (**საიდ. №64098/03) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 08 ივნისის №962/03 ბრძანების ბათილად ცნობა. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „ALCON" (ლათინური ანბანით შესრულებული) ჟღერადობით ჰგავს კომპანიის „ალკონ ინკ." („ALCON, INC") სახელზე „საქპატენტში" მე–9 კლასის საქონლისათვის რეგისტრირებულ ქართული ანბანით შესრულებულ ნიშანს „ალკონი" (რეგ. №19116, რეგ. თარიღი 16.03.2009), რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ზემოთქმული წარმოადგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი ექსპერტიზის მასალები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი შალვა გვარამაძე არ ეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქპატენტის მიერ სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზის შედეგად დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელო კომპანია „ალკონ, ინკ" შეერწყა კომპანია „ნოვარტის აგ"-ს და მიიღო მისი სახელწოდება და მისამართი. აპელანტის განმარტებით, აღნიშნული ცვლილების რეგისტრაციაზე მოთხოვნა შეტანილია საქპატენტში 2012 წლის 27 აგვისტოს. მრიგად, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნები ეკუთვნის ერთიდაიგივე კომპანიას და ამის გამო მომხმარებელი არ იქნება შეყვანილი შეცდომაში მწარმოებლის მიმართ. შესაბამისად აღარ არსებობს საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ALCON" (IR1088618) საქართველოში გავცელებაზე უარის თქმის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 08 ივნისის №962/03 ბრძანება და სასაქონლო ნიშანს **„ALCON"** საქართველოში მიენიჭოს დაცვა საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 08 ივნისის №962/03 ბრძანება შემდეგ გარემოებათა გამო:

კომპანია „ალკონ, ინკ" შეერწყა კომპანია „ნოვარტის აგ"-ს და მის კუთვნილ სასაქონლო ნიშანზე „ალკონი" (რეგ. №19116) გადასცა უფლებები კომპანიას „ნოვარტის აგ"-ს. ამდენად აღნიშნული ცვლილების შედეგად განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების მფლობელი კომპანია ერთი და იგივე პირია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს,

რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 08 ივნისის №962/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დაკმაყოფილდეს კომპანიის „ნოვარტის აგ” („Novartis AG”) სააპელაციო საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 08 ივნისის №962/03 ბრძანება.
3. განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „ALCON” (IR1088618) მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის ჩამონათვლის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ქემაშვილი
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	დ. ჭიჭინაძე